



საქართველოს
სახალხო დამცველი
PUBLIC DEFENDER
(OMBUDSMAN) OF GEORGIA

N 15-9/10214
27/10/2021

10214-15-9-2-202110271026



საქართველოს იუსტიციის მინისტრს
ბატონ რატი ბრეგაძეს

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა

**მსჯავრდებულ [REDACTED] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე
სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად ჩატარების გამო
დისციპლინური საქმისწარმოების დაწყების შესახებ**

შემუშავებულია საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის მიერ განხორციელებული შემოწმების შედეგების მიხედვით და გეგზავნებათ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

ბატონო რატი,

სახალხო დამცველის აპარატმა შეისწავლა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მსჯავრდებულ [REDACTED] უფლებების სავარაუდო დარღვევების ფაქტზე ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მასალები.¹ შესწავლილი საქმის მასალების შედეგად გამოიკვეთა, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელმა განზრახ არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა მასზე დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობა.²

ფაქტობრივი გარემოებები

2021 წლის 15 იანვარს სახალხო დამცველის რწმუნებული შეხვდა [REDACTED] პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულ [REDACTED] მსჯავრდებულის განმარტებით, ფსიქიატრის მიერ დანიშნული ჰქონდა მედიკამენტური მკურნალობა,

¹ სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის 2021 წლის 23 ივლისის N172852/01 წერილით მიღებული საქმის მასალები.

² „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომაა სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება. „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი: მოსამსახურის დისციპლინური გადაცდომის სახეა სამსახურებრივი მოვალეობის ბრალეულად შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

თუმცა ზოგჯერ დანიშნული მედიკამენტები დროულად არ მიეწოდებოდა, რის გამოც პერიოდულად თავს გრძნობდა შეუძლოდ.

განცხადებით, 2020 წლის 29 დეკემბერს დანიშნული მედიკამენტების დროულად მიწოდების მიზნით მიმართა დაწესებულების თანამშრომელს და აღნიშნულ ნიადაგზე, მათ შორის მოხდა სიტყვიერი შელაპარაკება, რის შემდეგაც გადაიყვანეს დეესკალაციის ოთახში, სადაც მოთავსებული იყო 2021 წლის 7 იანვრამდე.

თქმით, დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს დაწესებულების თანამშრომლები სისტემატურად აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას, ოთახში იყო სიცივე და არ მისცეს საბანი, რის გამოც იძულებული გახდა დაეხია ლეიბი და გამოეყენებინა გადასაფარებლად. ასევე აცხადებდა, რომ დეესკალაციის ოთახში თავდაპირველად შეყვანის შემდეგ, დასჯის მიზნით არ აძლევდნენ პურს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, იმყოფებოდა არასათანადო პირობებში და პროტესტის ნიშნად ხუთი დღით გამოცხადებული ჰქონდა შიმშილობა.³

ზემოაღნიშნულ საკითხებზე სათანადო რეაგირების მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა შემდგომი რეაგირების მიზნით მიმართა სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტს.⁴

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების მიხედვით ირკვევა, რომ შემოწმება დაიწყო სახალხო დამცველის აპარატის მიმართვიდან ერთი თვის დაგვიანებით და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მსჯავრდებული გათავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან (25.02.2021).

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ გამოკითხულ იქნა დაწესებულების სამედიცინო პუნქტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რომელმაც განაცხადა, რომ მსჯავრდებულ დადგენილი ჰქონდა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები და ჰქონდა ექიმის დანიშნულება მედიკამენტური მკურნალობის კუთხით. დაწესებულების მთავარმა ექიმმა ასევე განაცხადა, რომ 2020 წლის 11 ნოემბერს ფსიქიატრის მიერ გაცემული რეკომენდაციით მსჯავრდებულ უნდა ჩატარებოდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომელიც ჩატარდა 2021 წლის იანვარში შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის ცენტრის“ მიერ და დაენიშნა არანებაყოფლობითი ფსიქიკური მკურნალობა, რის შემდეგაც 2021 წლის 30 იანვარს გადაყვანილ იქნა „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში“.

ამასთან, მთავარმა ექიმმა განაცხადა, რომ მსჯავრდებულ დანიშნული მედიკამენტების შეფერხებით მიწოდება შესაძლოა მართლაც ხდებოდა, მაგრამ რამდენიმე დღით მედიკამენტის მიუწოდებლობა მსჯავრდებულების

³ სახალხო დამცველის რწმუნებულის მიერ N6 დაწესებულებაში შედგენილი 2021 წლის 15 იანვრის ოქმი.

⁴ სახალხო დამცველის აპარატის 2021 წლის 1 თებერვლის N15-9/980 წერილი.

ჯანმრთელობის მდგომარეობაზე არსებითად არ მოქმედებდა. აღნიშნული საკითხზე გამოკითხვა კონკრეტულ დეტალებს აღარ მოიცავს.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ ასევე გამოკითხულ იქნა დაწესებულების ოთხი თანამშრომელი, რომლებმაც განაცხადეს, რომ მსჯავრდებული [REDACTED] მხოლოდ იმიტომ მოათავსეს დეესკალაციის ოთახში, რომ დაიმუქრა თვითდაზიანების მიყენებით და საკნის ინვენტარის დაზიანებით, მათ შორის საკანში დამონტაჟებული ვიდეოკამერების დაზიანებით, თუმცა რეალურად მას რაიმე დაზიანება საკუთარი თავის მიმართ არ განუხორციელებია და არც საკანში არსებული ინვენტარი არ დაუზიანებია.

შემდგომი გამოკითხვებით და დოკუმენტებით ირკვევა, რომ დეესკალაციაში მოთავსების კანონით დადგენილი მაქსიმალური 72 საათიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, მსჯავრდებული კვლავ იმუქრებოდა თვითდაზიანებით და საკნის ინვენტარის დაზიანებით, ამიტომ 2021 წლის 1 იანვარს კვლავ გაუგრძელდა დეესკალაციის ოთახში მოთავსების ვადა იმგვარად, რომ ფაქტიურად არ დაუბრუნებიათ საცხოვრებელ საკანში. ანალოგიურად გაუგრძელდა დეესკალაციაში მოთავსების 72 საათიანი ვადა 2021 წლის 4 იანვარსაც.

გამოკითხული თანამშრომლები ადასტურებენ, რომ ზოგადად არცერთ მსჯავრდებულს დეესკალაციის ოთახში ყოფნის დროს საბანს ან პლედს არ აძლევენ, უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე და იგივე მოტივით უთხრეს უარი [REDACTED].

გამოკითხულმა თანამშრომლებმა მსჯავრდებულისთვის საკვების არმიწოდების შესახებ ინფორმაცია უარყვეს და ასევე არ დაადასტურეს [REDACTED] მიერ დეესკალაციის ოთახში ყოფნის პერიოდში პროტესტის ნიშნად შიმშილობის გამოცხადება.

სამართლებრივი დასაბუთება

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ადამიანის ღირსება შეუვალია და მას იცავს სახელმწიფო. დაუშვებელია ადამიანის წამება, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობა, არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.⁵ პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებულ პატიმრებს აქვთ საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებით აღიარებული უფლებების დაცვის გარანტია.⁶

ევროპის საბჭოს ევროპული ციხის წესების მიხედვით, ციხეებში მუდმივად უნდა ტარდებოდეს მონიტორინგი და ინსპექცია სახელმწიფო ორგანოების მიერ რათა შეფასდეს

⁵ საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი.

⁶ საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-3 თავი - „ბრალდებულისა და მსჯავრდებულის სამართლებრივი მდგომარეობა“.

ციხის მართვა და ადმინისტრირება საერთაშორისო სტანდარტებისა და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.⁷

გაეროს მიერ ასევე განსაზღვრულია პატიმრებთან მოპყრობის მინიმალური სტანდარტები, რომლის მიხედვითაც პენიტენციურ დაწესებულებებში რეგულარულად უნდა ტარდებოდეს ინსპექტირება კვალიფიციური თანამშრომლების მხრიდან, რომელიც დანიშნული არიან ხელისუფლების მიერ, ხოლო ინსპექტორები ვალდებული არიან პატიმრობის ადგილზე შეამოწმონ ციხის მუშაობა კანონისა და განაწესის შესაბამისად და დარწმუნდნენ, რომ პენიტენციური დაწესებულებების მართვა ხორციელდება კანონის დაცვით.⁸

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში დასაქმებული მოსამსახურეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნათა შესრულებას, სამედიცინო მომსახურების ხარისხის კონტროლს და შემოწმებას ასრულებს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტი.⁹

მონიტორინგის დეპარტამენტის ფუნქციებში შედის, მოსამსახურეთა მიერ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა შესრულების კონტროლი და დარღვევებზე რეაგირება, ადამიანის უფლებათა დაცვის კონტროლი და პენიტენციურ დაწესებულებებში ხარვეზებისა და პრობლემების გამოვლენა.¹⁰ ხოლო, სამსახურებრივი შემოწმების დროს მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომელს უფლება აქვს მოსამსახურე პირისგან მიღოს ახსნა-განმარტება, ინფორმაცია და დოკუმენტაცია.¹¹

სამსახურებრივი შემოწმების დასრულების შემდეგ, სათანადო საფუძვლების შემთხვევაში დგება შესაბამისი დასკვნა, ხოლო სათანადო საფუძვლების არარსებობის შემთხვევაში, მოხსენებითი ბარათის მიხედვით, ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით სრულდება სამსახურებრივი შემოწმება. სათანადოდ დასაბუთებულ მოხსენებით ბარათს ხელს აწერს შემოწმების მონაწილე თანამშრომელი, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი,

⁷ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2006)2 წევრი სახელმწიფოებისადმი ევროპულ ციხის წესებთან დაკვირვებით (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2006 წლის 11 იანვარს მინისტრთა მოადგილეების 952-ე შეხვედრაზე). მე-6 ნაწილი, პუნქტი 92.

⁸ მიღებულ იქნა 1955 წელს ქენევაში გამართულ გაეროს პირველ კონგრესზე, რომელიც ეძღვნებოდა დანაშაულის პრევენციას და სამართალდამრღვევებთან მოპყრობას, დამტკიცებულ იქნა 1957 წლის 31 ივლისის 663 C (XXIV) რეზოლუციით და 1977 წლის 13 მაისის 2076 (LXII) რეზოლუციით. წესი 55.

⁹ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.

¹⁰ „სპეციალური პენიტენციური სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2018 წლის 22 დეკემბრის N366 ბრძანების მე-12 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები.

¹¹ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 21-ე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები (ვინაიდან ყოფილი გენერალურ ინსპექციის ფუნქციებს ამჟამად მონიტორინგის დეპარტამენტი ასრულებს, ხოლო თავად მონიტორინგის დეპარტამენტის საქმიანობა არ არის რეგულირებული ახალი ნორმატიული აქტით, ვხელმძღვანელობთ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 მოქმედი ბრძანებით).

გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილე და საბოლოოდ წარედგინება გენერალური ინსპექციის უფროსს.¹²

მოცემული საქმის ანალიზი

პენიტენციურ დაწესებულებაში თანამშრომლების მიერ შესაძლო კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენა, სამსახურებრივი შემოწმების დროულად და ეფექტურად ჩატარება ემსახურება ციხის პირობებში კანონიერების დაცვას და იცავს პატიმრებს ძალადობისა და თანამშრომელთა მხრიდან ჩადენილი თვითნებობისგან.

სახალხო დამცველის აპარატი სისტემატურად სწავლობს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ ჩატარებულ სამსახურებრივი შემოწმების საქმის მასალებს და ამოწმებს მათ შესაბამისობას კანონმდებლობით დადგენილ კრიტერიუმებთან, ვინაიდან შემოწმება უნდა ჩატარდეს სრულყოფილად, ყველა საჭირო და შესაძლო მტკიცებულების მოპოვებით.¹³

მოცემულ საქმეში, არსებობდა სახალხო დამცველის რწმუნებულისთვის მსჯავრდებულის მიერ მიცემული ახსნა-განმარტება უფლებების დარღვევების შესახებ და მეორეს მხრივ, აღნიშნულის საწინააღმდეგოდ სპეციალური პენიტენციური სამსახურის თანამშრომლების განმარტებები, თუმცა საქმეში არ მოიპოვება მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ მსჯავრდებულის გამოკითხვის ოქმი, ვინაიდან შემოწმება დაიწყო ერთი თვის დაგვიანებით და აღნიშნული დროისთვის მსჯავრდებული უკვე გათავისუფლებული იყო პენიტენციური დაწესებულებიდან და მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა მისი საკონტაქტო ტელეფონის ნომრის დადგენა. თუმცა, მონიტორინგის დეპარტამენტს არ უცდია სახალხო დამცველის აპარატთან დაკავშირება, რა შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის წევრების ტელეფონის ნომრის და სხვა დამატებითი ინფორმაციის მიწოდებაც.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ გამოკითხულ იქნა დაწესებულების სამედიცინო პუნქტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, რომელმაც ნაწილობრივ დაადასტურა მსჯავრდებულის პრეტენზიები ფსიქიატრიული სახის მედიკამენტების დაგვიანებით მიწოდების შესახებ, რითაც ფაქტიურად აიხსნებოდა პატიმარსა და თანამშრომლებს სიტყვიერი დაპირისპირების დაწყების მიზეზი. ამავე დროს, ექიმის გამოკითხვით და სამედიცინო დოკუმენტებით დადგინდა, რომ [REDACTED] დანიშნული ჰქონდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა და დეესკალაციის ოთახში ცხრა დღიანი ყოფნის შემდეგ, მალევე იქნა გადაყვანილი ფსიქიატრიულ დაწესებულებაში.

¹² საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 25 ივნისის N55 ბრძანების 26-ე მუხლი.

¹³ საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში „დისციპლინური წარმოება, მოქალაქეთა საჩივრების საფუძველზე საქართველოს მთავარი პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიმართ“, ხელმისაწვდომია: < <https://www.ombudsman.ge/res/docs/2019041112142123160.pdf> >

აღნიშნულის მიუხედავად, სამედიცინო დოკუმენტებში არ მოიპოვება დეესკალაციის ოთახში მსჯავრდებულის ყოფნის დროს ფსიქიატრის ან სხვა პროფილის ექიმის მიერ მისი მონახულების შესახებ ინფორმაცია და მოცემული საკითხი არც მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლის გამოკითხვის დროს არის გამოკვლეული, მიუხედავად იმისა, რომ ექიმისთვის ცნობილი იყო პაციენტის ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ დეტალური ინფორმაცია და ამგვარ ვითარებაში, გარდა პაციენტის შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმებისა, ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტების უფლებების დაცვის მიზნით, არსებობს დამატებითი გარანტიები, რომელიც უზრუნველყოფილია საქართველოს კანონმდებლობით.¹⁴

რაც შეეხება დაწესებულების თანამშრომლების გამოკითხვას, სამსახურებრივი შემოწმების დროს მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლისთვის მისაღები აღმოჩნდა მათი განმარტება, რომ მსჯავრდებული იმუქრებოდა თვითდაზიანების მიყენებით ან საკნის ინვენტარის დაზიანებით და აღნიშნული მიზეზი საკმარისი აღმოჩნდა, ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტის დეესკალაციის ოთახში მოთავსებისთვის.

გამოკითხვის დროს არ არის დასმული შეკითხვები მსჯავრდებულის მხრიდან თვითდაზიანების მუქარის გამომწვევ მიზეზებზე, მიუხედავად იმისა, რომ ექიმის გამოკითხვის შემდეგ ცნობილი იყო წამლების დაგვიანებით მიწოდების თაობაზე. ასევე, არ არის გამოკვლეული რამდენად რეალური შესაძლოა ყოფილიყო აღნიშნული მუქარა და ჰქონდა თუ არა წარსულში [REDACTED] თვითდაზიანება მიყენებული ან დაუზიანებია თუ არა საკანში არსებული ინვენტარი, რასაც შესაძლოა გაემყარებინა თანამშრომლების არგუმენტები დეესკალაციის ოთახში ფსიქიკური პრობლემების მქონე პაციენტის გადასაცვანად. ამასთან, საქმეში არ დევს მსჯავრდებულის პირადი საქმიდან რაიმე დოკუმენტი, რითაც დადასტურდებოდა მის მიერ წარსულში აგრესიული მოქმედება.

ფაქტობრივად გამოუკვლეველი დარჩა [REDACTED] მიერ მოწოდებული ინფორმაცია, პურის არმიწოდების და შემდგომ მის მიერ პროტესტის ნიშნად ხუთდღიანი შიმშილობის გამოცხადების დოკუმენტურად დაფიქსირების საკითხი, ვინაიდან დაწესებულების თანამშრომლებმა უარყვეს აღნიშნული ინფორმაცია, ხოლო დეესკალაციის ოთახში პაციენტის ყოფნის დროს, მისი მონახულება არ მომხდარა არც სოციალური მუშაკის და არც სხვა ნეიტრალური პირის მიერ, ვისთანაც შესაძლებელი იქნებოდა ინფორმაციის გადამოწმება.

ამასთან, საქმეში არ დევს არცერთი ვიდეოჩანაწერი, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა რაიმე სახის მტკიცებულების მოპოვება [REDACTED] უფლებების დარღვევის აღმოჩენის მიზნით. ვიდეოჩანაწერების საქმეში არარსებობა, მონიტორინგის დეპარტამენტის მხრიდან შესაძლოა აიხსნას დარღვევების სავარაუდო თარიღსა და შემოწმების დაწყების თარიღს შორის თითქმის ორთვიანი ვადის გასვლის გამო, მაგრამ აღნიშნული გარემოებაც მხოლოდ მონიტორინგის დეპარტამენტის მხრიდან საქმის

¹⁴ „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის, თავი 2, მუხლი 5 - პაციენტის ძირითადი უფლებები.

არაჯეროვნად შესრულებად შეიძლება შეფასდეს, ვინაიდან საქმისწარმოება დაიწყო სახალხო დამცველის აპარატის მიმართვიდან ზუსტად ერთი თვის შემდეგ.

ამრიგად, სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურემ მსჯავრდებულ [REDACTED] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე არ ჩაატარა სამსახურებრივი შემოწმება სრულყოფილად, კერძოდ:

- სამსახურებრივი შემოწმების დაწყება დაგვიანდა 1 თვით;
- სამედიცინო პუნქტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელთან ჩატარებული გამოკითხვის დროს არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტისთვის მედიკამენტების დაგვიანებით მიწოდების ეპიზოდი;
- დაწესებულების თანამშრომლების გამოკითხვის დროს არ იქნა გამოკვლეული, ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პატიმრის დეესკალაციის ოთახში მოთავსების სათანადოდ არგუმენტირებული საფუძვლები, არ იქნა გადამოწმებული მათი სანდოობა დაწესებულების ხელმძღვანელობასთან (მაგ: ვინაიდან შემთხვევა ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პატიმარს ეხებოდა, მიიღო თუ არა დაწესებულების ადმინისტრაციამ პატიმრის დეესკალაციაში შესახლებისას გადაწყვეტილების მიზანშეწონილობის შესახებ კონსულტაცია ექიმისგან/ფსიქიატრისგან);
- არ იქნა გამოკვლეული და შეფასებული ის გარემოება, მონახულებულ იქნა თუ არა პაციენტი ცხრა დღის მანძილზე დეესკალაციის ოთახში მკურნალი ექიმის მიერ. ამასთან, მონიტორინგის დეპარტამენტი არ დაინტერესდა, სამედიცინო პერსონალმა შეაფასა თუ არა პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა და დეესკალაციის ოთახში ხანგრძლივად ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი;
- პატიმრის განცხადება ხუთდღიანი შიმშილობის არდაფიქსირების თაობაზე არ იქნა გამოკვლეული სათანადოდ, ხოლო ვიდეოჩანაწერების მოპოვების საშუალება გაშვებულ იქნა სამსახურებრივი შემოწმების დაგვიანებით დაწყების გამო.

აქვე გაცნობებთ, რომ სახალხო დამცველის აპარატს პენიტენციური დაწესებულების დეესკალაციის ოთახებში პატიმრების უფლებების დარღვევების შესახებ ზოგადი სახის რეკომენდაცია წარსულშიც აქვს გაცემული,¹⁵ რაც ამ შემთხვევაში კონკრეტული პატიმრის მაგალითით კიდევ ერთხელ დადასტურდა. პრობლემის თაობაზე სახალხო დამცველისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ ყოველწლიურ ანგარიშებშიც ხაზგასმითაა მითითებული, მათ შორის, სახალხო დამცველის უკანასკნელ საპარლამენტო ანგარიშშიც.¹⁶

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ მსჯავრდებულ [REDACTED] უფლებების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, სამსახურებრივი შემოწმება

¹⁵ საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის 18 აგვისტოს N15-3/11797 რეკომენდაცია პენიტენციური დეპარტამენტის [REDACTED] დაწესებულებაში დეესკალაციის ოთახებში პატიმრების უფლებების შესაძლო დარღვევების შესახებ.

¹⁶ იხ. < <https://www.ombudsman.ge/res/docs/2021040110573948397.pdf> > გვ.57-58.

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის თანამშრომლის მიერ არ ჩატარდა სრულფასოვნად, რითიც მან ჩაიდინა „სპეციალური პენიტენციური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეთა დისციპლინური წესდებისა და ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 ოქტომბრის N144 ბრძანების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - სამსახურებრივი მოვალეობის განზრახ შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოგმართავთ წინადადებით, დაიწყეთ დისციპლინური საქმისწარმოება სპეციალური პენიტენციური სამსახურის მონიტორინგის დეპარტამენტის მოსამსახურის მიერ მსჯავრდებულ [REDACTED] უფლების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე სამსახურებრივი შემოწმების არასრულყოფილად ჩატარების ფაქტზე და მიიღოთ კანონშესაბამისი გადაწყვეტილება.

ამასთან, გთხოვთ, მოცემული წინადადების განხილვის შედეგები მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

ნინო ლომჯარია

5- 

სახალხო დამცველი

